საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობითი

მაჩვენებლები 2014 წლისათვის

თბილისი	2004 წელი	დაიხურა 2004–2011 წწ.	არის 2014 წ.	
	47	10	37	

მუნიციპალიტეტებში არსებული საჯარო ბიბლიოთეკები

მუნიციპალიტეტი	2004 წ.	2008 წ.	2011 წ.	დაიხურა 2004–2011	არის 2014	
კახეთის მხარე	225	71	53	124	101	
ქვემო ქართლის მხარე	174	68	66	134	40	
მცხეთა–მთიანეთის მხარე	117	36	51	87	30	
შიდა ქართლის მხარე	157	45	105	150	7	
სამცხე–ჯავახეთის მხარე	212	60	82	142	70	
რაჭა–ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის მხარე	139	22	29	51	88	
იმერეთის მხარე	382	143	132	275	107	
სამეგრელო–ზემო სვანეთის მხარე	234	98	21	119	115	
გურიის მხარე	99	12	39	51	48	
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	210			203	7	
სულ ჯამი	**1949**			**1336**	**613**	

2012 – 2013 წწ. საჯარო ბიბლიოთეკები აღადგინეს:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტში – 3
2. ბოლნისის მუნიციპალიტეტში – 1
3. თიანეთის მუნიციპალიტეტში – 16
4. ასპინძის მუნიციპალიტეტში – 1
5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში – 17
6. საჩხერის მუნიციპალიტეტში – 1
7. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში – 20
8. გურჯაანის მუნიციპალიტეტში – 2

სულ 2012 – 2013 წწ. აღდგენილი იქნა 60–ზე მეტი საჯარო ბიბლიოთეკა.
2004 – 2012 წწ. სულ **დაიხურა 1336** საჯარო ბიბლიოთეკა.
ქვეყნის მასშტაბით ამჟამად **ფუნქციონირებს 613** საჯარო ბიბლიოთეკა.

ვინაიდან საჯარო ბიბლიოთეკებს აფინანსებს ადგილობრივი ხელისუფლება, ასოციაცია არ ფლობს ინფორმაციას მათზე დახარჯული თანხების რაოდენობის შესახებ. აქვე დავძენთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საშუალებით ცენტრალური ბიბლიოთეკებისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა 700–1000 ლარის რაოდენობის ვაუჩერს ახალი წიგნების შესაძენად, რაც მინიმალურად ვერ აკმაყოფილებს ბიბლიოთეკების მოთხოვნებს საბიბლიოთეკო ფონდების განახლებისათვის.

აღნიშნული ინფორმაცია შეეხება მხოლოდ მუნიციპალიტეტებში მოქმედ საჯარო ბიბლიოთეკებს. ასოციაციას არ გააჩნია ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედი ბიბლიოთეკების შესახებ. ვთხოვთ შესაბამის სამინისტროს მოგვაწოდოს ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული ბიბლიოთეკების შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში სამინისტროს შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია აღნიშნული სამინისტროდან, ვინაიდან საქართველოს მასშტაბით იგი ფლობს რაოდენობრივად ყველაზე დიდ საბიბლიოთეკო ქსელს.

საბიბლიოთეკო ასოციაციას მიზნშეწონილად მიაჩნია უფრო გააქტიურდეს კოორდინაციული მუშაობა ქვეყანაში საბიბლიოთკო პოლიტიკის მიზანმიმართული ჩამოყალიბებისათვის. ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და საბიბლიოთეკო ქსელის მფლობელმა სახელმწიფო უწყებებმა.

პატივისცემით,

ასოციაციის პრეზიდენტი: რ. ასათიანი